

ბავშვთა ფსიქიატრიის გამოწვევების კვლევა საქართველოში: შემთხვევების ანალიზი

თამარ ხვედელიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა სამაგლიშვილი MSW; PhD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ხვედელიძე ----- 26.06.2017

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მოიცავს კრიზისული ინტერვენციის პროგრამაში ჩართული ბავშვების პრობლემებისა და საჭიროებების კვლევას. აგრეთვე, მოცემული კვლევის მიზანია პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ბიო-ფსიქო-სოციალური პროგრესის შეფასება ინტერვენციების დასრულებისას. უშუალოდ გამოყენებული იქნა შემთხვევათა ანალიზის მეთოდი, კერძოდ, 30 ბავშვის სამედიცინო დოკუმენტაციის ანალიზი. კვლევა ასევე მოიცავდა სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურ მუშაკებთან შეხვედრას, რათა მომავალში მოხდეს მათ მიერ ფსიქიკური პრობლემების მქონე ბავშვებისთვის კრიზისული ინტერვენციის სამსახურში გადმომისამართება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი ასპექტები:

- კრიზისული ინტერვენციის პროგრამაში ჩართულ ბავშვებს აქვთ ინტერპერსონალური ურთიერთობის პრობლემები.
- პროგრამით მოსარგებლე ბავშვები ძირითადად საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებიდან არიან.
- პროგრამით მოსარგებლე ბავშვები განსაკუთრებული სიახლოვის გრძნობით დედების მიმართ არიან, მამებთან ურთიერთობის პრობლემები გამოიკვეთა.
- ინტერვენციების განმავლობაში ბავშვების ფსიქო-ემოციური მდგომარეობაში გამოიკვეთა გარკვეული პოზიტიური ცვლილებები.
- სოციალური მომსახურების სააგენტოდან რეფერირებული ბავშვები მხოლოდ ერთია , რაც მათი ინფორმირების ნაკლებობას მიუთითებს.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია, რადგან დავინახეთ კრიზისული ინტერვენციის პროგრამაში ჩართული ბავშვების ბიო-ფსიქო-სოციალური მდგომარეობა. კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები და საჭიროებები მოგვცემს საშუალებას დავხვეწოთ ინტერვენციები.

ძირითადი საძიებო სიტყვები : კრიზისული ინტერვენცია , ენურეზი, ყურადღების დეფიციტი/ფიპერაქტიურობა, ანტისოციალური ქცევა/ყოფაქცევის მოშლა, თვითდაზიანების ქცევა, რეტის აშლილობა , დეპრესია .

Abstract

Presented work includes investigation of children's needs and problems who receive services of crisis intervention program. The aim of current research is also an assessment of bio-psycho-social progress in program users by the end of the intervention. There was used Case Study Analysis, in particular, analyzing of 30 children's medical documents. The research also included meetings with social workers from Social service agency to guarantee redirecting of children with mental disorders to the crisis intervention program in the future.

The results of research revealed following aspects:

- Children who receive services of crisis intervention have problems with interpersonal communication.
- Children who receive services of crisis intervention are mostly from families with middle income.
- Children who receive services of crisis intervention especially have intimacy with their mothers and have communication problems with fathers.
- There were some positive changes in children's psycho-emotional state during the intervention.
- There was only one example of case redirected from Social service agency. This might be connected with the lack of information.

The results of research are important and help us to understand bio-psycho-social state of children who receive crisis intervention services. Identified problems can help us to improve intervention.

Main keywords for searching: crisis intervention, enuresis, lack of attention/hyperactivity, antisocial behavior/behavioral disturbance, self-mutilation, Rett's disorder, depression.